

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.  
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дრობა»  
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—  
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—  
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4  
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე 1 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული წიგნისათვის გვერ-  
დი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონე-  
ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.  
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს  
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს  
დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს  
ავტორს.  
„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за  
границы принимаются только въ цент., конторѣ  
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

ტელეგრაფი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

ბამონის ყოველ-ღე ორშაბათს ბარდა.

თავადი რაფიელ ერისთავი  
მარტის 7-ს, არწრუნისეულს თე-  
ატრში წაიკითხავს  
**ლეკიას**  
მართულს ლიტერატურაზე, მეოთ-  
ხე საუკუნედან მეთვრამეტემდის.  
ბილეთები იყიდება იქვე თეატრის კასაში.

**მეგრელებისათვის**  
**ძალად „მხრანველი“**  
თბილისი, მარტის 6-ს

იქნება ექვსი-შვიდი წელიწადი რაც  
ერთს ნემცეტურს ქურნალში, უცხოეთ-  
ში მყოფობის დროს, შეგებდა მცირე  
წერილი ხევესურებზედ. რა თქმა უნდა  
ამ წერილს ისე დაეწვებოდით, რომ  
გორც სასმელს წყურვილით დატან-  
ჯული, მაგრამ ბოლომდის რომ ჩაე-  
დით და ავტორის სახელიც ამოვიკი-  
თხეთ, გულ-მტკივნეულად წარმოგს-  
თქვით: „მშერთა დავეხსენ ამისთანა  
მეცნიერებისაგანაო!“  
თბილისში თითქმის პირველ მეც-  
ნიერად ცნობილი ბ-ნი რადე მოუ-  
თხრობდა ნემცე-მკითხველებს, რომ  
ხევესურები სრულიად სხვა ხალხია, ქარ-

თველებთან არაერთადი კავშირი არა  
აქვთ-რა და ამ ორს ხალხს ერთმანე-  
თისა სრულიად არაფერი არა ესმის-  
რაო. იმ დროს ხევესურეთში სასწავ-  
ლებლები რომ ყოფილიყო, ბ-ნი რადე,  
იმასაც გვეტყოდა, თუ როგორ სასარ-  
გებლო იქნებოდა ხევესურებისათვის,  
რომ თავიანთ სასწავლებლებში მხო-  
ლოდ ხევესურული ენა ესწავლათ და  
ქართულისათვის კი, როგორც უცხო  
ენასთვის, თავი დაენებებინათ.  
მერე, რად უნდა გავაკვიროვს რა-  
დესა და ხევესურების ამბავმა? რადე  
უცხო ქვეყნელია, მხოლოდ ცოტათი  
იცნობს ჩვენს ხალხს და მოადრებუ-  
ლად რომ გაჰღვიძებოდეს სურვილი  
ძველად მოგვიხატოს სახელის მოხვეჭი-  
სა, — რა ვასაკვირველია! მასაკვირვე-  
ლი ის უფროა, როცა ჩვენზე ქვეყნის  
შეილი მოგვითხრობს მეცნიერულის  
კილოთი უხამს ვითომ-ქვემარტებას  
და თავის უმცრებელ დოქტორობის  
დებლობს სწირავს ჩვენს ხალხის სხვა-  
და-სხვა ნაწილებს ერთობას. მეცნიე-  
რულ ბორძიკს ზოგიერთ ვითომ-მეც-  
ნიერებისას რომ ზარალი არა მოჰქონ-  
დეს-რა, იქნება ყური მოგვეყრუებინა  
და ხმა არ ამოგვეღო, მაგრამ სამუშ-  
ხაროდ, ჩვენ ამისთანა მდგომარეობა-  
ში ვართ, რომ შეიძლება ვინმე, პაი-  
კის-გონების პატრონმა არსებამ, ეს

ბორძიკი თავისთვის გამოიყენოს და  
ცრუ-მეცნიერულს გამოკვლევას უტყუ-  
არობის ბეჭედი დასხვას.  
ძველადი ენებში ორი ისეთი ენა  
არ არის, რომელნიც მეგრულსა და  
ქართულსა ერთმანეთთან დაახლო-  
ვებულნი იყვნენ. ჩვენ ლინგვისტი  
არა ვართ, „სამეგრელოს ეტიულებს“  
არ ვეწყოებით, მაგრამ უბრალო ფაქ-  
ტებით ვიცით, რომ მეგრული ენა  
ყოველთვის შეადგენდა და ღღესაც  
შეადგენს საფეხურს ქართულის ენის  
შესწავლისათვის. მეგრელები ორსა და  
სამს თვეზედ სწავლობენ ჩინებულს  
ქართულს და ეს ყოველად შეუძლებელ-  
ი იქნებოდა ამ ორ ენის შორის,  
რომ სრული „მამაშვილური“ კავშირი  
არ არსებობდეს. მის შესწავლის სია-  
ღვილეს თავი დავენებოთ და გავხსენ-  
ნოთ თუნდ ის, რომ ქართული ენა  
ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს  
მეგრელებისათვის სანატრელ შესათვი-  
სებელ საგანს და ყოველ მეგრელს  
თავი მოაქვს, როცა ქართული კარ-  
გად ესმის. ეს უკანასკნელი მეგრელე-  
ბისათვის საღარბაზო ენაა; იგი ისმა-  
რებოდა და იხმარება სამეგრელოში  
ერთმანეთ შორისმდებარე-მოწერის დროს  
და მთელი საქმის წარმოება ამ ქვეყანა-  
ში, როდესაც მას ავტონომიური უფ-  
ლება ჰქონდა, ქართულს ენაზედ იყო.

წილებული ჰქონდილის ეკლესია ითე-  
ლებოდა თითქმის ქართული მეცნიე-  
რების ცენტრად და თითო ჰქონდიე-  
დელსაც იმისთანა გავლენა ჰქონდა  
მთელს ქართველობაზე, რომ კმარადა  
ეთქვათ: „ჰქონდიდელმა ბძანაო“ და  
მისი სიტყვა სრულის ავტორიტეტის  
ძალას მოიპოვებდა.  
წელანაცა ვთქვით, რომ მეგრელები  
ბი თითონვე კარგადა გრძნობენ იმ  
კავშირს, რომელსაც ცრუ მეცნიერები  
და ხალხის ცრუ-მხრანველნი ვერას  
გზით ვერ შეარყევენ და ამ გრძნობას  
სასიამო შედეგაც მოსდევს. თითქმის  
ღლითი ღღე უკან-ღა-უკან იწევს ის  
სამზღვარი, რომელიც ამ ორს ენას  
ერთმანეთთან ჰყოფდა, თუმცა კი გო-  
ნება-გაღვიძებული საზოგადოებისათვის  
ეს სამზღვარი თავის ღღეში არ არსე-  
ბულია. მთელი სენაკის მაზრა ეხლა  
კარგად ლაპარაკობს ქართულს და ეს  
შეგება არა მარტო თავად-აზნაურო-  
ბას, რომლისათვისაც ქართული ყო-  
ველთვის დედა-ენას შეადგენდა, არა-  
მედ გლეხობასაც. ზუგდიდის მაზრა  
და სამტრედიანოც, ბუნების კანონი-  
სამებრ, უფრო-ღა-უფრო უხსნიან  
კარს ამათთვის უსაქიროესს ენას და,  
ვიმეორებთ, ამ კარს ვერაფერ ვერ ამო-  
ქოლავს, რაც უნდა ცრუ გულ-

**სამეგრელო გუბნი**  
თავი პირველი.

იენისის ერთს საღამოს 1857 წელს,  
გუბერნატორის სახლში, ქალაქს მუ-  
თაისს, ოთხნი შემოსხდომოდენ ლომ-  
ბერის სტოლს და პრეფერანსს თამა-  
შობდენ, — ესენი იყვნენ: მაშინდელი  
გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ნი-  
კოლოზ პეტრეს ძე ძოლიუბაიკინი, მისი  
ჩინოვნიკი რაფაელ ლავითის-ძე მრის-  
თაფი, მუთაისის მცხოვრებელი სტე-  
ფან ივგორის ძე აკოფოვი და ამ სტრი-  
ქონების დამწერი. თამაშობა სულ  
უბრალო იყო, თითქმის კაპეიკის მე-  
ოთხედზედ და ღღე მუშაობისა და  
მოუსვენარობის შემდეგ გულის გასარ-  
თობად თამაშობდენ და არა მოგებისა-  
თვის. აკოფოვს, როგორც უფრო მო-  
ხერხებულს მოთამაშეს, ყველანი ემტე-  
რებოდენ, მაგრამ ის მათ ხშირად რე-  
მიზში სვამდა, რისაგამოც ერთი სი-  
ცილი და ლაპარაკი ატყდებოდა ხოლ-  
მე. იენი უღარდელად იცნო-  
დენ და არც ერთს მათგანს ფიქრა-  
დაც არ მოუვიდოდა, რომ, სწორედ


ამ სტოლთან იგინი მიიღებდენ მო-  
ნაწილეობას ერთს ისეთს საქმეში,  
რომელსაც ღიდი მნიშვნელობა ჰქონ-  
და ამ ქვეყნისთვის და რომელმაც  
სრულიად სხვა მიმდინარეობა მის-  
ცა ხალხის მომეტებული ნაწილის  
ცხოვრებას. ამის გამო ჩვენ ყველა-  
ზედ წინად გავაცნობთ მკითხველებს  
ამ ოთხ პირს.  
ძოლიუბაიკინზედ და მრისთავზედ  
არა ერთხელ მოგვისდება საუბარი, ამ-სა-  
თვის ჯერჯერობით აკოფოვის შესახებ  
ვიტყვი. ეს კაცი ვაჭარი იყო, სო-  
მეხ-კათოლიკეთა ჩამომავლობისა და  
რომ იგი უფრო კარგად გავაცნოთ  
მკითხველს, რამდენსამე სიტყვას და-  
ვუერთობთ მის სამზობლო ქვეყანაზედ,  
მუთაისზედ.  
მუთაისი 1820 წლამდის იმერეთის  
სატახტო ქალაქი და იმერეთის მეფის  
საცხოვრებელი იყო, ეხლა კი გუბერ-  
ნიის ქალაქია, გაშენებული ძველსავე  
მშენებელს კუთხეში, იმ ხეობის პირ-  
ში, საიდანაც მდინარე რიონი გამო-  
დის. ისევე ძველად ამ ქალაქში მოუყ-  
რია თავი სამს სხვა-და-სხვა ერს: იმერ-  
ლებს, რომელნიც ადგილობრივი  
მცხოვრებლები არიან და შეადგენენ  
ქართველთა ერის ერთს შტოს; სო-  
მეხთა კათოლიკეთ და ურიებს, მო-  
სულთ აქ მაშინ, როდესაც მათი სამ-  
ზობლო ქვეყნები მტრმა გააოხრა-  
ქველა ამ ერთგანს თავის უბანი გა-  
უშენებია და თუმცა სომეხები და ურიე-  
ბი ვაჭრობაში ერთი-ერთმანეთის მო-  
ქიშვნი არიან, მაგრამ ერთმანეთში

მოიხივებულან და ორივენი ერთად  
ხელიდამ აცლიან იმერლებს სარჩოს.  
სომეხი, ფრანგი (სომეხ-კათოლიკე)  
და ურია, იმერლის აზრით, ერთი და  
იგივე ვაჭარია; იგი მათ სიამაპრტაე-  
ნით უტყვირის და მათს ხელობას თა-  
ვის ხელობა-მეურნეობაზედ დაბლა  
აყენებს. ეს აზრი იმერელს ისე მტკი-  
ცვდა აქვს ჩანერგილი გულში, რომ  
ეხლაც კი, როდესაც იმერელი აზნაუ-  
რი მოაკლდა თავის პოლიტიკურს  
უფლებას გლეხზედ, აღარა ცხოვ-  
რობს მზამხარეულზედ და თვითონ  
თავის შრომით უხდება ლუკმა-პურის  
შოვნა, — ეხლაც კი, როდესაც ცხოვ-  
რების ჩარა გაუწედა — მზად არის  
საცხოვრებლის საშოვნელად ყოველ-  
ნაირი საშუალება იხმაროს, სხვის სა-  
კუთრებაც მაითვისოს და ვაჭრობას კი  
მანც არ დაიწყებს. იმერელს გლეხს  
კი ისე უყვარს მიწა, რომ რასაც იპო-  
ვის და იშოვის იმითიც ისევე მიწას  
ყიდულობს. მიწა-წყლის უფლება  
ღიღს როლს თამაშობს იმ ხალხში,  
რომელიც ხენა-თესვას მისდევს და  
ფულის უფლებას ებრძვის. შულის  
უფლების წარმომადგენელი საქარ-  
თელოში სომეხები, ფრანგები და  
ურიები არიან. ეს ბრძოლა, მიწისა  
და ფულისა, ძველს დროს, რუსების  
შემოსვლამდის, თანასწორად მიდიო-  
და და ორივე მხარესთვის სამზღვარი იყო  
დადებული, რომელსაც ვერც ერთი  
და ვერც მეორე ვერ გადავიდოდენ,  
ერთი მეორეს არ სხაგრავდა. მაჭარი  
პატივისცემით ექცეოდა ადგილობრივს  
თავადს და აზნაურს, აბატონას უძახ-

და და იგინიც მას მფარველობდენ.  
მაგრამ ყოველივე ეს რუსების შე-  
მოსვლით გამოიკვალა. მაჭარი კაცი  
და განსაკუთრებით სომეხი წინ წა-  
მოდგა; პირველს ნაბიჯის გადადგმა-  
ზედვე ჩვენ დაგვირდა ვაჭარი სხვა-  
და-სხვა საქმეებისათვის, რისათვისაც  
გაილო სახელმწიფოს ხაზინის კარები  
და დაიწყეს სომეხებმა გამდიდრება.  
შულის უფლებამ დასხაგრა მამულის  
უფლება და იმერლების ცხოვრება,  
როგორც სხვა ქართველებისაც, სხვა  
ნაირად წავიდა.  
სომეხები სამგვარი სარწმუნოებისა-  
ნი არიან: გრიგორიანები, რომელ-  
თაც თავიანთი ქათალიკოსი ჰყავთ მჩ-  
მიადინის მონასტერში, მრენის გუბერ-  
ნაში და ეს ქათალიკოსი აერთებს  
მერაპისა და აზიის სომეხებს; კათო-  
ლიკები, რომელთაც რამდენიმე საუ-  
კუნის წინად პატრებმა — მისიონერებ-  
მა კათოლიკობა მიიღებინეს და რე-  
ჰორმატები, რომელნიც უფრო ბა-  
ქოს გუბერნაში სცხოვრობენ. შეე-  
ლა ამათ პირველად ერთი საზოგადო  
სურვილი ჰქონდათ: რაც შეიძლება  
მაღე გარუსებულ იყვნენ, რის გამოც  
რუსული ენა თავისუფლად გადააკე-  
თეს და სწრაფად შეითვისეს; თა-  
ვიანთ გვარებს რუსული დაბოლოვე-  
ბა მისცეს, როგორც მაგალითად მირ-  
ზოვე, ტუმანოვ, სოლოხოვ, აკო-  
ფოვ და სხვ. და ეს დაბოლოვებანი  
ეხლა ისევე იანა-ად და იანცა-ად  
გადაიქნენ; სომეხური სახელები მა-  
შინ არამც თუ შეიცვალნენ, არამედ  
სრულიად რუსულ სახელებად გადა-

\*) ეს ფრიალ საყურადღებო მოგონებანი  
„ისტორიულს მოამბეში“ იბეჭდებიან და კე-  
თნიან ბ-ნი ბოროზდინის კალამს, რომელ-  
მაც ზედ-მიწევნით იცის მისგან აწერილი  
საქმის გარემოება, რადგანაც თვითონვე იღუ-  
ბა მონაწილეობას სამეგრელოს ზედ იღუ-  
ბის გადაწყვეტაში.





მტკიცე ენობა უჩვენონ მეგრე-  
ლებს და მათთვის მზრუნველობის პირ-  
ბადე აიფარონ...

### შინაური ქრონიკა

== ამ დღეებში დიდუბის ეკლესია  
გატეხეს. მურდებს ჯერ კარები ამოეჭ-  
რათ ბურაოთი, მეგრე ხელი შეეყოთ  
და ისე გაეღოთ. წაღებით კი ბევრი  
არაფერი წაუღიათ, მხოლოდ სახარე-  
ბაზე გადაკრული ბრონზის მოკაზმუ-  
ლობა აეყარათ და წაეღოთ, რადგა-  
ნაც ვეცხლი ჰგონებოდათ.

== ჩვენ კიდევ იმ ხილზე ვართ,  
სადაც ქართულმა წარწერამ უცბად  
თავი დაიმალო. მოგვხსენებთ, რომ  
მერის ხილით მომავალ ჭაფურაგებზე  
(სხვათა შორის) ბაჟია დაწესებული -  
5 კაპ. ჭაფურაგი რომ საბაჟოს მი-  
აღება, უნდა შეჩერდეს და უცადოს  
სანამ მებაჟე ხურდას მისცემდეს, რად-  
გან ხშირად წერილი ფული არ ექმნე-  
ბა მეჭაფურაგს. ჭაფურაგში იცდის  
შიგ მჯდომიც, თუნდ ძალიანაც ეშუ-  
რებოდეს მას და ან ცუდი ამიდი აწუ-  
ხებდეს. და ყველა ამის თავიდან აცი-  
ლება ადვილად მოხერხდებოდა თუ კი  
ჩვენი ძალაქის ბამგეობა სიხარბაცს არ  
გამოიჩინეს. მუთაისში, მაგალითად, სა-  
დაც ბაჟია ხილზე, ძალაქის ბამგეობამ  
მოაჭრეინა უბრალო ქესტის მარკე-  
ბი, რომელნიც მეჭაფურაგებს წინ-  
დაწინვე შესყიდული აქვთ, ამდევნენ მე-  
ბაჟეს ამ მარკებს და შეუჩერებლივ  
განაგრძობენ გზას. ასეთი წესი არც

მერის ხილს აწყენდა და მასზედ მოგ-  
ზაურთაც ჭაფურაგით მოუხდებოდა.

== ჩვენ გვთხოვეს დაბეჭდვა შემ-  
დგვის შენიშვნისა: ობილისის რეა-  
ლურ სასწავლებლის ღარიბ მოსწავ-  
ლეთა სასარგებლოდ თებერვლის 17-ს  
გამართლის კონცერტიდამ შემოვი-  
და 1097 მან.; პრემია მიღებული  
იქნა - 34 მ. და 60 კაპ. სულ 1131 მ.  
60 კაპ. სკამების ქირა, ზალის განა-  
თება, ბილეთების, აფიშების, განცხა-  
დებათა და სხვ. დაბეჭდვა დაჯდა  
163 სან. 10 კაპ. შინდა შემოსავა-  
ლი ღარიბ 968 მან. 50 კაპ., რა-  
მელიც გაგზავნილ იქნა ობილისის  
რეალურ სასწავლებლის დირექტორში,  
იმ ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ,  
რომელნიც წელს დაასრულებენ კურსს.

კონცერტის გამმართველი კნენია  
ანდრონიკაშვილისა გულითადად მად-  
ლობას უძღვნის: ზარუნაიას და  
ილინსკისას, და ბ. ბ. ბეტინგს, შორ-  
სკის, იპოლიტოვ-ივანოვს, რიბინისს,  
ალექსეევ-მესხიევს და აწყურელს,  
რომელთაც კონცერტში მონაწილეო-  
ბა მიიღეს, აგრეთვე პირველი კლა-  
სიკური გიმნაზიის დირექტორს ბ.  
მარკოვს, ბურგენბეგოვს და ლანკოს  
დახმარებისათვის; და რედაქციებს გა-  
ზეთ: „ნოვოე-მობოზრენისას“, „შრო-  
ებისას“ და „ობილისის ბანცხადე-  
ბათა“, რომელთაც უსასყიდლოდ და-  
ბეჭდეს განცხადებანი.

== მუთაისიდან გვწერენ: „როგორც  
მოგვხსენებთ, ქუთათურ ხელოსანებს  
მიენიჭათ თვით-მმართველობა. ჩვენ  
წინად ვიმედოვნებდით, რომ ჩვენი  
ხელოსანები ისარგებლებდნენ ამ გვარ

სასარგებლო დაწესებულებით, მაგრამ  
დღეს სულ სხვას ვხედავთ: ხელოსანთ  
ვერ გაუგიათ თავიანთი უფლება,  
რომ ამის მიზეზი, სხვათა შორის,  
არის - უკონლობა წესდებისა ქართულ  
ენაზე. საკვირველია - ან აქამდის,  
როგორ არ მოუყიდათ ფიქრად, სა-  
ხელოსნო წესდების თარგმნა ქარ-  
თულ ენაზე. რა ჰქნას ბეჩაემა ხელო-  
სანმა, როცა დღეს ეუბნებიან - ეს  
არის კანონი და ხეალ-სულ წინა-  
აღმდეგს. არა თუ უსწავლელი ხე-  
ლოსანი, ვგონებ, სწავლული კაციც-  
კი დაიბნეს ამ გვარს მდგომარეობა-  
ში“.

== იქიდანვე გვწერენ: ძლიერ მო-  
ვესწართ ქართულ კონცერტს. რამ-  
დენი ხანია მუთაისის ქართველი სა-  
ზოგადოება მოკლებულია დედა-ენა-  
ზე დააკმაყოფილოს თავისი ესტეტი-  
ური გემოვნება. სცენის მოყვარენი  
პატრონს ჩაბარდნ და ჩვენმა არტის-  
ტებმა ხომ დაგვიფიცეს. ამ მოვლე-  
ნას საზოგადოების გულ-გრილობას  
აბრალებენ; მაგრამ ქუთათურები  
ყოველთვის უბნის ყოფილან ქართუ-  
ლი თეატრისათვის - ოღონდ-კი წარ-  
მოდგენა წარმოდგენას ჰგავდეს.

ქართული კონცერტი თებერვლის  
26-ს იყო. ძალების ხორაშ შეად-  
გენდნენ: მფ. მესხისა, ს. ლაღინისა,  
ბ. შულუკიძისა, ორი დანი ნიქარო-  
ძისანი, პეტრიაშვილისა და ჩიკვაძი-  
სა. კონცერტში მონაწილეობა მიიღო  
გვრეთვე ბ. ბენაფის ხორაშ და ბ.  
ბროზდოვმა. ზოგიერთი სიმღერები  
კარგად იმღერეს. შინდა შემოსავა-  
ლი, როგორც გვთხრეს, 300 მან-

თამლის არისო. კონცერტი რამდენიმე  
მოქმედო საქმისათვის იყო.

== იქიდანვე გვწერენ: თებერვლის  
28-ს მოულოდნელად თოვლი გვე-  
წვია; იქნება მარგველიც იყოს ეს  
თოვლი ყვავილისათვის. ძეტად ცუდ  
საქმეს ჩადის ეს საშინელი ავადყოფ-  
ობა. ღარწმუნებით ამბობენ, რომ  
500 ავადყოფია ამ ქამად ყვავილი-  
თაო. ჩვენი აზრით, ყვავილის გაძ-  
ლიერების მიზეზია - ერთის მხრით,  
ცუდი მოვლა და, მეორეს მხრით,  
ყვავილიანების არევა კარგად მუ-  
ყვებთან.

სე გასინჯეთ, ამ დღეებში ერთს  
ავადყოფს ქუჩა-ქუჩა-კვიტარებდენ-  
ეცუბოდა, საბრალო სახლში აღარ  
დაეყენებინათ. შროებით საავადყოფ-  
ების გამართვა საუკეთესო საშუა-  
ლობაა ამ შემთხვევაში. ძალაქმა-კი  
გამართა ერთი საავადყოფო, მაგრამ  
ეს არა კმარა, რადგან აქ მხოლოდ  
ათიოდ კაცისათვის არის ალაგი.  
მთავრობის დახმარება ამ შემთხვევაში  
მიუცილებლად საჭიროა.“

== ასკანის სკოლის მასწავლებელი  
სოლომონ მჭვიშვილი გვთხოვს გა-  
მოეცხადოთ, რომ სოფ. ასკანიდან  
(მზურგეთის მახრა) გამოგზავნილი  
ცნობა შესახებ ყვავილის გავრცელებ-  
ისა მას არ ეკუთვნის. ცნობაში  
ჰქიცხადენ მამასახლისს და ადგილობ-  
რივ მოხელეობას, რომელთაც ამ სკნის  
წინააღმდეგ არავითარი საშუალება არ  
მიიღესო. ამ პირველს თხოვნას ვუს-  
რულებთ ბ-ნს სოლ. მჭვიშვილს, მაგ-  
რამ მეორე თხოვნაზე-კი, ნუ რას უკაც-  
რავად: - სოლ. მჭვიშვილი გვთხოვს

იქცნენ: მაგალითად სარქისა სერგეი  
გახდა, მკირტუმა - ნიკიტა და სხვ.

მუთაისის სომეხთა-კათოლიკებიც  
აქყენ ობილისელ სომეხების ფეხის-  
ხმას და მათ შორის აკოფოვმა დაიწყო  
იჯარების აღება.

მც-და-ათს წლებში აკოფოვი ზუ-  
ბალოვთან იყო პრიკაშიკად; მან მო-  
იარა მოსკოვი, ნიენა და ასე გასინ-  
ჯეთ ლეიპციგშიაც იყო იარმუკობის  
დროს. იგი სახემწიფო სამასხურშიაც  
ითვლებოდა და გუბერნსკის სერგე-  
რის ჩინი მიიღო, უწიგნოდ და უმას-  
წავლებლოდ ისწავლა ისეთი რუსული  
ლაპარაკი, რომელიც კაცს სიცილის  
მოჰგერიადა. მისი რუსული ლაპარაკის  
გამო ბევრი ანდაზები იყო მოგონი-  
ლი; სხვათა შორის ამბობდნენ, რომ  
როდესაც იგი ერთს სამმართველოში  
თარჯიმანად იყო 1837 წელს და  
როდესაც ხემწიფე ნიკოლოზ პავლეს-  
ძე მუთაისში მიბმანდა და მეიდანზედ  
შეგროვილს ხალხს ჰკითხა: „თქვენში  
ვინ იცის რუსულიო? - აკოფოვი წა-  
მოდგა წინ და უპასუხა: „მე, თქვენო  
კეთილმოზობილებაო“. ხემწიფეს პირს  
ლიმილი მოუვიდა და უთხრა: „ვხე-  
დავ, ძმაო, რომ შენის თარჯიმანო-  
ბით კაცი შორს ვერ წავაო“.

ზუბალოვის ქალის შერთვამ და  
მისმა კარგმა მზითვებმა უფროა შესძი-  
ძინა მას სახელი და ორმოც წლებში  
დიდი შეძლების ვაჭარი გახდა. მს  
აზრიანი, მომქმედი და მუყაითი კა-  
ცი შორანცოვს შეუნიშნავე არ ღარიბა  
და მიანდა მას რამდენიმე შენო-  
ბის გაკეთება. საჭირო იყო საავად-

მყოფოს აშენება და შორანცოვმა უბ-  
ძანა აკოფოვს წარედგინა მისთვის  
სქემა ფასებისა; მან წარუდგინა სენი-  
დისიერი და გონიერული სქემა, მაგ-  
რამ ამ სქემაშივე იყო მოხსენებული  
ხუთასი თუმანი მასადაქრებულად. შო-  
რანცოვი ვერ მიხედა ამ მისაღერსე-  
ბელს; ჰკითხეს აკოფოვსა და აღმოჩნ-  
და, რომ მას ხუთასი თუმანი მისაა-  
ღერსებლად, ანუ, უყუდ ესთქვათ,  
ჩინოვნიკების ქრთამად უნდოდა. შო-  
რანცოვმა ბევრი იცინა ამხედ და  
„შეუცვლელად დაამტკიცა აკოფოვისა-  
გან წარდგენილი სქემა. საავადყოფო  
ლაპარაკი შენობა გამოვიდა და არც  
ძვირად დაჯდა. შემდეგ აკოფოვი  
აშენებდა გუბერნიის გიმნაზიას, ქვი-  
თკირის დუქნებს და სხვ. ძველა გუ-  
ბერნატორებთან იგი მიღებული იყო  
და იცოდა, ვის როგორ მოჰქცეოდა.  
მართელ გუბერნატორი ბელიავესკი  
სომეხ-კათოლიკებზედ რალაქდაც გა-  
ჯავრდა და დაიბარა თავისთან. იგინი  
აკოფოვის წინამძღოლობით გამოც-  
ხადდნენ. ბელიავესკი ყვიროდა, რომ ის  
არავითარს პარტიებს არ შეიწყნარებს,  
და სიტყვა „პარტია“ რამდენჯერმე  
გაიმეორა. როდესაც მან გაათავა ჯავ-  
რობა, აკოფოვმა დაიწყო ლაპარა-  
კი: „რა პარტიებზე ბძანებთ, თქვენო  
აღმატებულებავ; პარტიებისა ჩვენ  
რა ვიცით, თქვენო აღმატებულებავ;  
კავიკის მეოთხედზედ ზევით პარტიას  
ჩვენ არა ვთამაშობთ“.

ბელიავესკი ვერ მიხედა აკოფოვის  
პასუხს და უთხრა, ქართულად გამო-  
ვითხათ, თუ რის თქმა უნდადა მას.

მამოჩნდა, რომ აკოფოვს ჰგონებო-  
და გუბერნატორი პრეფერანსის პარ-  
ტიებზედ ამბობსო და სომეხ-კათო-  
ლიკებზედ გაჯავრებულია, რომ იგი-  
ნი პრეფერანსს თამაშობენო. გუბერ-  
ნატორმა დაუწყო აკოფოვის კომი-  
კურს სახეს ცქერა, ვერ მოითმინა არ  
გაეცინა, დარბილდა, მოისმინა სო-  
მეხ-კათოლიკების პასუხი და გაიგო,  
რომ კოველის ფერი მოქრთამე პო-  
ლიციმეისტრის ბრალი ყოფილიყო.

როგორც შეძლებული კაცი, აკო-  
ფოვი კარგად იღვა. მისი სახლი  
მთელს ქალაქში საუკეთესო სახლი  
იყო. მისი ცოლი, ობილისში გაზ-  
დილი, რუსულად კარგად ლაპარა-  
კობდა და კარგი მასპინძელი იყო.  
მითქმის მთელი მუთაისი დაიარებოდა  
იმის სახლში, ხშირად მართავდა სტუმ-  
რებისთვის ვანშაშ, რომელზედაც კა-  
ხური და ვერპოული ღვინოები უბ-  
ვად ისმოდა.

მართის სიტყვით, კათოლიკების  
უბანში აკოფოვი პირველი კაცი იყო  
და თვით ამ უბნის მტარვალიც,  
მღვდელი ღონ ანტონიო, გვარად  
ბლახაშვილი, პატრესა სცემდა მას.  
კათოლიკების უბანი თრთოდა ღონ  
ანტონიოს წინაშე, რადგანაც ვოჯო-  
ხეთის ტანჯვებზე ლაპარაკით მან მთე-  
ლი ამ უბნის ქალები დაიმონავე და  
მათის შემწეობით კაცებიც. რამდენს  
ზიარებას უკრძალავდა იგი, ხელში  
ანთებულს სანთლებს აჭერინებდა და  
ისე აჩოქებდა ეკლესიაში. ამისთანა  
სასტიკი მოძღვარიც კი ისე დაარბილა

აკოფოვმა, რომ იგი მასთან ქალაქს  
თამაშობდა.

პოლიუბაქინს აკოფოვი ობილის-  
შივე იცნობდა, როდესაც ჯერ  
ისევე პატარა ჩინი ჰქონდა; შემდეგ  
იგი ვიცო-გუბერნატორად იყო მუთა-  
ისში, და, როდესაც გუბერნატო-  
რობა მიიღო, უფრო დაუახლოვ-  
დნენ ერთმანეთს, როგორც ძვე-  
ლი კარგი ნაცნობები. რაკი აკო-  
ფოვს კარგ კაცად იცნობდა, პოლიუ-  
ბაქინმა ნება მისცა თავის სახლში  
სიარულისა და სალამ-სალამობით ზე-  
მოხსენებულნი პირნი პრეფერანსს თა-  
მაშობდნენ ხოლმე.

მართელ როდესაც ნაცნობი ოთ-  
ხივე მოთამაშენი აკოფოვის ოხუნ-  
ჯობაზედ იცინოდნენ, გუბერნატორის  
სახლთან ფოსტის ზარის ხმა მოისმა  
და ტროიკა დადგა. რაკი ზარა ჩაკ-  
რული არ იყო, ეცუბოდა, მგზავრი  
ძალიან ეჩქარებოდა. ჯერ ობილისი-  
დამ გამოგზავნილი მთავარ-მმართვე-  
ლის კურირი ეგონათ, მაგრამ გაია-  
რა ერთმა წამმა და ყველას გასაოცებ-  
ლად სახლში შემოვიდა გამტყობანე-  
ბული და ტალახით მოხერილი ჩო-  
ხიანი კაცი, რომელიც პირველად ვერ  
ვიცანით, რომ იგი სამეგრელოს თა-  
ვადი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მი-  
ქაძე იყო. მან მისცა წერილი ნიკო-  
ლოზ პეტრეს-ძეს და უთხრა: „მკატე-  
რინე ალექსანდრეს ასულისაგან არისა.“  
მკატერინე ალექსანდრეს ასული  
სამეგრელოს გამგებელი იყო, ბრწყინ-  
ვალე ძენინა ლაღინისა.  
წერილი პატარა იყო; პოლიუბაქ-





გამოცხადოთ ვინაობა იმისი, ვინც ეს ცნობა მოგვარდა...

== მსვეე მჭევივლი გეთხოვს ჩვენის გახეთის საშუალებით მადლობა განუცხადოთ ლევან ჭლენტს, რომელსაც ასკანის სკოლის ბალისათვის შეუწირავს მრავალი ყვავილების ნერვი.

ამ გვარისავე სამადლობელის დაბეჭდვას გეთხოვს მწრის სკოლის მასწავლებელი მ. მეტურიშვილი, რომლისადმი მინდობილის სკოლისათვის ბატ. მინა რევიშვილს რამოდენიმე სასწავლო ნივთები შეუწირავს.

== მთავარ-მმართველის სადგომის სპარსულს დარბაზში გამოფენილია ნახელსაქმი ბავშვებისა, რომელნიც სწავლობენ თბილისის ქველ-მომქმელ საზოგადოების სკოლაში. ბავშვების ხელ-საქმემ საზოგადოდ კარგი მთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე. მნახველები ბლომად მიდიან და იძენენ პატარა ხელების ბევრს ხელოვნურს ნაწარმოებს.

== „Пастырь“-ის სიტყვით ამ დღეებში ქუთაისში მომხდარა პირველი კრება ეპარქიალურის სასწავლებლის რჩევასა, რომელიც დაარსებულია იმკრეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. კრებაზე არ დასწრება ქუთაისის გუბ. სასაღვთისა სკოლების დირექტორი, თუმცა მოწვეულია ვი. რჩევას დაუდგება: მისთვისაა ბავშვების დაწესებულებათა ცნობის სამკველად სკოლებს ვითარების შესახებ და ამ ცნობათა შეგროვებამდის ვი რჩევას შესდგება ამ სკოლებისათვის პრეგრამის შემუშავებას.

კინმა საჩქაროდ წაიკითხა, დაადგო სტოლზე და გეთხოვა: წაიკითხეთ! მითითან კი შემოთავაზებული ადგა სტოლიდან, მივიდა მიქაძესთან და დაუწყო გამოკითხვა:

ვიცნე დაახლოებით ეს ეწერა: „სამეგრელო სრულიად აჯანყებულია, ველაჩაფერი მომიხრებია; შეიარაღებული გლეხები სრულიად აღარ მემორჩალებიან. მთ ღმერთი გწამს, ნიკოლოზ პეტრეს ძე, თვითონ შერწამოდი მალე და 500 ყაზახი მანც წამოიყვანე, მხოლოდ მაშინ შემეძლება აჯანყებულთა დამშვიდება. მართს წამსაც ნულარ დაიგვიანებ. მე შეაზიხორში ვიმყოფები და გარშემო აჯანყებული გლეხები მარტყიან. ჩემი ერთგული თავადები მიუარავენ.“

კატარანე.

მიქაძე დალალოლიყო და ძლიერ ლაპარაკობდა; ოცდაათი ვერსი ცხენით გამოერბინა (მაშინ სამეგრელოში ჯერ არ იყო ფრანგის სტანციები, რომელნიც მმარ-ფაშის დროს იქმნენ დანგრეულნი) და მუთაისის გუბერნიის რამდენიმე მემოსულიყო, მაშინ ჩამდარიყო მხოლოდ ტროიკაში და რაც შეეძლო ჩქარა წამოსულიყო.

დალაგებით და დაწვრილებით ლაპარაკს იგი ვერ ახერხებდა... მს კი სჩანდა იმის სიტყვებიდან, რომ აჯანყება ექვსი თვის წინად დაწყებულიყო. სამეგრელოს გამგებელი ქატირინე პეტერბურგში იმყოფებოდა ალექსანდრე ნიკოლოზის-ძის გერგვინის კურთხევის გამო და როდესაც

„დროების“ კორესპონდენცია

სოფ. პარდენხი, თებერვლის 28 ს. წარსულ შემოდგომაზე აგრონომი ბ. ბევესკი და სხვანი იყენენ ახეთში ენახების გასასინჯად და იმის შესატყობად, — ახეთშია ცხომ არ განდგა ფილოქსერა. სხვათა შორის ს. პარდენხშია ცხომ ვასინჯეს რამდენიმე ენახი, მაგრამ ფილოქსერა, არსად აღმოჩნდა. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენს ღვინით დალოცვილ ახეთს ეწვიოს ეს საშინელი მწერი. ღვინით გვიღვას ღვინო კახელებს სული და თუ იგიც ფილოქსერამ, ან სხვა რამემ ხელიდან გამოგვაცალა, მაშინ თქვენი მტერი...

სწორედ ღვინით და ენახებით მოგვაქვს კახელებს თავი, მაგრამ ღვინო კარდნახელები კერძოდ და კახელები საზოგადოდ ერთმა გარემოებამ ძლიერ დააფიქრა. მს ფიქრი სწორედ უშიშვო არ არის, თუ კი გამართლდა ის ხმა, რაც აქ არის გაერცვლებული. ამბობენ, რომ ერთს ვისმეს შეუსყიდნია სოხუმში მ—კის ბალი და ახალ-შემდინილი მამულიდან თურმე აპრობს ხეხილის გათმოტანას ს. პარდენხში ნაყიდ მამულში დასარგავად.

ქველამ ვიცით, რომ მ—კის ბალი თითქმის ბუღვა ფილოქსერისა, და ექვი არ უნდა ვიქონიოთ მ—კის ბალიდან გამომტანილ ხეხილს ფილოქსერაც თან გამოაყვება.

მთ მართლა გადმოიტანეს აქ ხეხილები, ექვი არ არის — ჯერ პარდენხს და შემდეგ მთელ ახეთს მოეღება ფილოქსერა.

იქიდან შაისში დაბრუნდა, ყოველს ღვინის ძიებას ხმარობდა ხალხი დამხვილებინა, მაგრამ მეცადინეობამ ამოდ ჩაუარა და აჯანყება თან-და-თან უფრო ძლიერდებოდა. მეტატონები შეიარაღებულს გლეხების გროვას ემალეობოდნენ; თვით კვინაც საშიშარს მდგომარეობაში იყო და შეაზიხორში თავის ნათესავ ძენიკა ღვინთან სცხოვრებდა; მას თავისთან ჰყავდა ბრიგოლი და მოსტანტინე, ძმანი განსვენებულის ძისის ქმრის, მთავარის ღვინითა.

მშიერ და დალალოლი-დაწყვეტილ მიქაძესთან დიდხანს ლაპარაკი უსამართლობა იქნებოდა, ამისათვის პოლიტიკინმა უბრძანა ვახუშტი გაეშალათ მიქაძესთვის, თვითონ კი ისევ სტოლს მოუჯდა და გვიკითხა:

— აბა, ბატონებო, როგორ ფიქრობთ, მე რა უნდა ვქნა ცხლად? მთხოვთ შემატყობინოთ თქვენი აზრი და პირველად შენ, აკოფოვო.

— ჩემი აზრი, დაიწყო მან, — ის არის, რომ შენ, ნიკოლოზ პეტრეს ძე, მაგ საქმეში არ უნდა გავერიო.

— როგორ თუ არ გავერიო? მერე ეს წერილი?

— რა წერილი, რის წერილი? შენ მუთაისის გუბერნატორი ხარ, წერილი რა არის, რომ არის?

— არ გაიგე, რომ იგი ჯარს თხოულობს აჯანყებულების დასამშვიდებლად.

— სად არის მერე ეგ აჯანყება? — სამეგრელოში. მერე შენ რა საქმე გაქვს? დეე, მაგარინს მისწეროს.

მთავარი მაგარინი იმ დროს მუთაი-

ამას მხოლოდ ამბობენ და ღვინის კი, დარწმუნებით ვიცით, რომ ჯერ სოხუმშია არაერთი ხეხილი არ მოუტანიათ. აქ შეიძლება ეს ფიქრადაც არ მოსვლოდეთ, შეიძლება სრულიადაც არა საჭიროებდენ სოხუმის ხეხილების გადმოტანას, მაგრამ ჩვენი ხალხი ცოტა ექვიანია.

ამიტომ სჯობს წინაღვე ცოტა სიფრთხილე ვიქონიოთ, რომ ექვი არ გამართლდეს და მით ენი-გამოუთქმელი უბედურება ავადინოთ მთელ ახეთს.

იმედი გვაქვს — ამ გარემოებას, ვიცის ჯერი არს, მიაქცევს ყურადღებას, არას გზით არ გამოუშვებს სოხუმში და ხეხილს ს. პარდენხში და მით ააცილებს ს. პარდენხს კერძოდ და მთელ ახეთს საზოგადოდ ფილოქსერას.

საშინელმა ქარმა წარსულ ორშაბათს იმხვერპლა ს. მაქირში რამდენიმე სახლი. ისე გადიბუვა რამდენიმე კომლი, რომ ვერაფერი მოასწრეს, გადაერჩინათ. პატრონები ამ დროს სამუშაოდ იყენენ წასულნი.

ი. კახელი.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! შმორჩილესად გთხოვთ, ამ ორიოდ სიტყვას ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გახეთში. სწორედ რომ ორიოდ

სის გენერალ-გუბერნატორი იყო და დროებით იმყოფებოდა სოხუმში, რომელიც სამეგრელოზედ ბევრით უფრო მოშორებულია, სანამ მუთაისი.

— შენ მაგ რჩევას მისცემდი ქვაშიხორში რომ მასთან ერთად იყო და კარგაც იხამდი, მაგრამ რაკი მმართველმა შენ რჩევა არა გკითხა და ჩემთან გამოგზავნა კაკი, როგორ შეიძლება არ მივემელო?

— ის შენა გწერს, ნიკოლოზ პეტრეს ძე, შენც მისწერე, რომ მაგარინს შეატყობინოს.

— სისულელეს ლაპარაკობ, ძმობილო. წარმოიდგინე, რომ შენს მეზობლის სახლს ცეცხლი წაეკიდა და შენგან შეველასა თხოულობს, განა არ უშველი?

— ნიკოლოზ პეტრეს-ძე, ნუ გავრევი, შენი საქმე არ არის, შენ მუთაისის გუბერნატორი ხარ. რის სახლი, რა სახლი იწვის, მე ჩემი სახლი ვიცი და ყურსაც ვუგდებ, რომ არ დაიწვას... მე რა ვქნა, რომ ჩემი მეზობლის სახლი იწვის, მე ჩემსას გავუფრთხილებდი...

— მაიგე, რომ მმართველი ქალია, ველარა მოუხრებია რა, განწირულს მდგომარეობაში იყოფება.

— მაგარინს მისწერე, იმის წერილიც გაუგზავნე. — მაღმა აღარ იცის-თქო, რა ქნას... ასე მისწერე. შენ კი ნუ წახვალ, დიდს უსიამოვნებას ნახავ. რად უნდა გავერიო იმ საქმეში, რაც შენ არ შეგეხება... შენ მუთაისის...

პოლიუბიაკინმა სიტყვა გააწყვეტინა.

— მმარა, კმარა, ვხედავ, რომ შენ

სიტყვას, მიტომ რომ არაფერი სიტყვილი არა გვაქვს, ბატ. სვიმონ ნიკოლოზის ძეს ბაქრადეს ლიტერატურულ ცნებათა შესახებ ბასი გაუწვიოთ \*).

„დროების“ მე-39 ნომერში დაბეჭდილი ცნობა სხვათა გაუქმებულის მონასტრის შესახებ, იმერეთის საეპარქიო კანცელარიის სახელით დაბეჭდილი, არც კანცელიარიას ეკუთვნის, მართალი რომ ვსთქვათ, და არც მისს საქმის-მწარმოებელს, თქვენს მონას, არამედ იგი სიტყვა სიტყვით არის ამოღებული ოფიციალურის მიწერ-მოწერისაგან. და თუ პატივცემულს „დროებაში“ გამოცხადდა, არა იმიტომ, რომ ვეჭვილად გახდომოდა ვისმეს, არამედ ერთი მიტომ, რომ კანცელიარია დიდს მნიშვნელობას აძლევს გახეთისაგან გაერცვლებულს ამბავს (დროება № 26) და მეორეც პატივსაც სცემს მკითხველს საზოგადოებას, მაგრამ ეს თუ ბატ. სვიმონ ნიკოლოზის ძემ ბაქრადემ ჯერ კიდევ არ იცის, რა გაეწყობა! მამართლების მიხეზიც ხომ ბევრი ვახლავს და რომელიც უფრო ეხერხებოდეს ის ამოიჩინოს.

ესტ. მჭედლიძე.

მატის 2-ს. ქ. ქუთაისი.

\* იხილეთ „დროება“ № 46.

შენს აზრს მტკიცედ ადგინარ. მადლობა... თქვენი რაღას იტყვი, ბატონებო? — მკითხა მე და თავადს მარს-თავს.

ჩვენი აზრი ის იყო, რომ იგი დაუყოვნებლივ მიშველებოდა სამეგრელოს მმართველს და ეს ამბავი მაგარინისა და მთავარ-მმართველისთვის შეეტყობინებინა.

ამ აზრისა იყო თვით პოლიუბიაკინიც. შემდეგ აღმოჩნდა, რომ აკოფოვი მართლს ეუბნებოდა და წინაღვე გრძნობდა მომავალს უსიამოვნებას. მადგეწვერტეთ წასვლა.

მაშინვე შეატყობინეს ვიცე-გუბერნატორს ი. მ. იურჩენკოს და ყაზახის პოლკის კომანდირს ბოლდირეს. მართის საათის შემდეგ ყოველისფერი მზად იყო გასამგზავრებლად. პოლიუბიაკინმა თან წაიყვანა სამეგრელოში თ. მრისთავი, მიქაძე და რამდენიმე ასი ყაზახი.

ჩემთან გამოთხოვების დროს, აკოფოვმა ამოიღო ჯიბიდან ბურნუთის კოლოფი, მაღიანად მოსწია და მითხრა: — შენ ნახე, რომ ეგ ტყუილად ერევა... მაგის საქმე არ არის. მე მუთაისის გუბერნატორი! შემდეგ ჩვენ გავშორდით ერთმანეთს.

სანამ პოლიუბიაკინის მოგზაურობას ავეწრდეთ, ჩვენ ვავაცნობთ მკითხველებს იმ გარემოებათა, რომელნიც სამეგრელოს აჯანყებას წინ უძღოდნენ, რის შემდეგაც ნათლად გამოჩნდება მთავრობის შემდეგნი განკარგულებანი ამ შემთხვევის შესახებ.





ქართული ჟურნალი

### ჯეორგია

„ხრდილოეთის საგენტოსი“ მარტის 3-ს.

თაიჩანი. ლემსდენი ჩავიდა გერატში, სადაც ადგილობრივი მთავრობა დიდს ზრუნვასი სიმაგრეების შეკეთებისათვის. პოლიცია-თუმში რამდენიმე ასს ყაზახს და მკირე რაზმს რუსებისას დაჭერილი აქვთ ჭები სერანისა და მურატამის შუა მიმავლს გზაზედ.

ნაჩინსკი. იგნატინის მადნეულ-ადგილებს ამ ქადად ათი ათასი მუშა ადგას და ბევრი კიდე მოდიან. ამ მხრის მთავრობა აცხადებს, რომ მიღებულ იქნება ზომები ბევრი მუშების ერთ ადგილს მოვროვების წინააღმდეგ; სურსათი ბლომად მოაქვთ და იაფობაც. არის ოქრო ას ფუთზე მეტია გასასუდად; მსუიდევი არავინ, არის კრედიტის ბიდეუების სიკოტავის გამო. ხმების, რომ ოქროზე აღკრძალვა დაიდებო (конфискация), მაშინ როდესაც თავისუფალი მუშაობის ნება იყო მიცემული რამდენიმე თვის განმავლობაში. ამბობენ ოქრო მდ. ამურისა და არგატის სხვა ნაპირებზედაც აღმოჩნდება.

მარტის 4-ს.

ტულა. „ძმათა ვასიდეების“ ტუავის ფირმამ მოსკო წარმოება; ვასივი მილიონ ნახევარ მანათს ადემატება.

კორტი. ოდურმანიდამ მოსუფმა შიკრიკმა მოიტანა ამბავი, რომ მაჭდიმ დიდი უკმაყოფილება გამოაცხადა გორდონის მოკვლის გამო. მაჭდის ბანაკი ოდურმანთან იმყოფება. კორდოქანში ჯარი გაგზავნა მაჭდიმ სუდანელთ შორის მომხდარ არეულობის დასამშვიდებლად.

ლონდონი. ხმების, თუმცა ჯერ დაუმტკიცებელი, რომ მაჭდის ჯარმა აიღო კასალა და ამოსწვიტა მეცხოვრენი.

ალექსანდრია. ზებერ-ბაშა შვილებითა და სხვა დატუსადებულე-ბითურთ გაგზავნილი იქნა კუნძულს კიპროსზე დასასახლებლად.

მარტის 5-ს.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრი რამდენიმე ხნით წავიდა პეტერბურგიდან და მარტის 4 სა-მინისტროს მართვა თავის ამხანაგს დურნოვოს ჩააბარა.

„ს-პეტერბურგის უწყებანი“ გვატყობინებენ, რომ სახემწიფო რჩე-

ვამ მოიწონა ცვლილება რკინის გზების შესახებ საჩავრისა შეტანის წესისა. ამ დროითგან საჩავრები შეიტანება პარადის ვნებისათვის იმ ადგილს, სადაც ვნება მოხდა, ანუ სამმართველოში; ხოლო დატვირთვის შესახებ — სამმართველოში ან იმ სტანციაში საიდანაც გაიგზავნა, ან სადაც იგზავნება; პირ-და-პირის გზით გაგზავნის დროს-კი საჩავარი შეიტანება ან იქ საიდანაც იგზავნება ან იქ სადაც უნდა გაიგზავნოს და ანუ იმ ადგილს, სადაც ვნება მოხდა. საჩავრის ადგილის არჩევა თვით მომჩივანის ნებაზეა დამოკიდებული.

პეტერბურგის საბჭომ გადასდო 100,000 მან. ხოლერის წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებად: უბნთუ ეს ჭირი გაჩნდება, და ამასთანავე დაადგინა იმუამდგომლოს მთავრობასთან, რომ იმანაც 300,000 მან. ან მეტი გადასდოს ამ საქმისათვის.

ბაქონი. რეისტრატმა მიიღო მთავრობის წინადადება შესახებ ცეცხლის გემების მისვლა-მოსვლის გამართვისა აფრიკის გზის გარდა. მსჯელობის დროს, ბისმარკმა უპასუხა რეისტრატს, რომ მეღმაც გამოაცხადა, რომ მთავრობა ხაღნთა-შორის საქმეების შესახებ ხელმძღვანელობს დინასტიურის მოსაზრებით და სთქვა: „ჩვენი საიმპერატორო სახლი ნაკიონალურს ინტერესებს ნათესაურს ინტერესებზე მაღლად აყენებსო.“ შემდეგ პოლმის დეპუტატს იაჯევსკის ბისმარკმა მიუგო, რომ პოლმის ადდგენა შეიძლება მხოლოდ ომითა ანუ რევოლუციითაო.

ლონდონი. ჩინეთის წყლებში მდგომს ინგლისის ესკადრას ებრძანა, რომ გომ კონგში წავიდეს.

პარიში. სენატის კომისიამ მოიწონა პალატისაგან პურზე დაწესებული ბაჟი.

### განცხადებანი

დაჟიდეა ნახევარ ფასად: ტანისამოსი, ქუდე-ბი, ჩოთქები, პენალები, კრანები, ნი-ბები, სურათები, საფხეკი, სახენი, ქაღალკი, პორტსიგარები, სალესავი და სხვ. და სხვ. ინგლისის მალაზია-ში. (10—3)

შეკრული ს. სიუ და ქ. (II. 2542). (46—5)

# ქალაქიბანი

იმერეთის ეპისკოპოსის მამარხილისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მალაზიებში და აგრეთვე მუთათისაში. შასი თეთო ტომისა მანათ ნახევარი. თბილისის და მუთათისს გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქალაქებთა ამ სახით: в Тифлисе, в Кавказскую книжную торговлю Грикурова, ან в Кутаисе: в канцелярию Епископа. (16—11)

ინგლისის მალაზიაში თმის-ამოქვევანი მაკ-მასტერი ამაგრებს თმას და ადრინდე ფერს აძლევს, ფასი ერთი შუ-შისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—96)



## საგლობუსო კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მხვილ უსუფთაო ქალაღდზედაც. მართად ერთი სააგენტო ინგლისის მალაზია — პარწრუნისიეულს ქარვასლაშია. იქვეა თვით ფაბრიკადმ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან საღმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქალაღი, კონვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომასეები, ბუმაქნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლეიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიღნი, ნაქდაკი, პატარა ჯო-ხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შოტკები, პირ-სახოცე-ბი, ჭოჭონები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რვეოლვერები, სასტვენლე-ბი, გრიფილები, ასაღის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულო-ბა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან საღმე. უნდა გააინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თარ-მეტი ცალი. ინგლისის მალაზია იმყოფება პარწრუნისიეულს ქარვასლის № № 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—6)

## ინგლისური მალაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლების-თბაღისში, იმყოფება პარწრუნისიეულს ქარვასლაში № № 95, 94 93, (92 სამე-სიკო მალაზიას დაჩეკსა) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანც ინგლისურ-ში მალაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიღის სამხელჯარ გარეთ ჩაის სა-ყოღლად და პირველ სელიდან ჭეიდულაბს, ამიტომაც შეუძლია ჭეიდლს შეკეთე-სი ჩაი და უფრო იაფადც ვიდრე სხვაგან საღმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნო-ბებმა და პირველ მოკრეფიღის ჩაის დამოფასებებმა შეადარენ ჩვენი ჩაი 1 მან.—კაპ. ჩაის სხვაგან 1 მან. 20 ღირებულს.

„ „ 1 — 20 — „ „ 1 — 50 — „ „ 1 — 40 — „ „ 1 — 80 — „ „ 1 — 60 — „ „ 2 — 20 — „ „ 1 — 80 — „ „ 2 — 50 — „ „ 2 — „ — „ „ 2 — 80 — „ „ 2 — 40 — „ „ 3 — „ —

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უგზველია, დაწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდაინ ასეთს სუნსელოვანს და მაგარს ჩაის ზემო-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქალღდოდ იქნება. ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გარე. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მალაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ეს-სენცია კაკასი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლეიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრავოტები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან — აი სეკრეტი ინგლისური მალაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჭეიდის უწვეულებრივო სიმრავლეს ჩაისას, კალმებისას, ქა-ლაღებისას, კრავოტებისას და სხვ... (100—6)